# ჩვენი ცხოვრება

თბილისი

პარასკევი

23 თებერვალი

1907 წ.

წელიწადი I

№ 5 ყოველ დღიური გაზეთი. № 5



მიიღება ხელის მოწერა 1907 წ. ყოველდღიურ პოლიტიკურ და სალიტერატურო გაზეთზე:

## ჩვენ ცხოვრებაზე

**აზიანის** და **ევდოშვილის** მონაწილეობით.

**გაზეთი ეღირება:**

| თბილისში: | | ქალაქ გარეთ: | |
|---|---|---|---|
| წლიურათ . . . . . | 5 მ. | წლიურათ . . . . . | 6 მ. |
| ექვსი თვით . . . . | 3 „ | ექვსი თვით . . , . | 3 „ 50 კ. |
| ერთი თვით . . . . | „ 50 კ. | ერთი თვით . . . . | „ 60 „ |

**ცალკე ნომერი 3 კაპ.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ „Чвени Цховреба". რედაქციის—ელისაბედის ქ. № 88.

**ხელის მოწერა მიიღება სტამბა „საქმე"-ში.** მიხეილის ქ. № 40.

**ბეჭდვითი სიტყვის მუშათა პროფესიონალური საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან გახსნა**

## კანტორა

სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, № 119 მეორე სართულზე. სადაც მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ საზოგადოების წევრათ. აქვე უნდა ჩაეწერონ უადგილო მუშები ამ ხელობისა.

**კანტორა ღიაა დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე.**


### რევოლიუცია თუ ოპოზიცია?

თუ გინდათ, რომ მენშევიკს აწყენინოთ,—კადეტების რევოლიუციონერობა უარჰყავით; ეს თქვენის მხრივ მის „უნეენეს" გრძნობების შეურაცხყოფა იქნება. ათრთოლებული ხმით, რომელშიაც გამოცდილი ყური ადვილათ ამოიკითხავს უიმედო სიყვარულს, ის მოგიყვებათ „მხრის დაჭერით" და „ხელის კვრით" გარევოლიუციონერებაზე. ხელისკვრა ეს ცოტა არ იყოს „მუჟიჩკური" გამოცხადებაა სიყვარულისა; რომელიმე ქიზიყელი „ბარიშნა" თავის სასიძოს სწორეთ ასე ეარშიყება, მაგრამ სალონურათ აღზდილი კადეტები ასეთ სიყვარულს, რათქმა უნდა, არა-ესტეტიურს დაუძახებენ.

აი რასა სწერდნენ კადეტები „რეჩში", შარშან 15 ნოემბერის ნომერში: „სოციალდემოკრატიის (მენშევიკებს) ასეთ განზრახვაზე („მხრის დაჭერით და ხელის კვრით გარევოლიუციონერება") „ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ" სასტიკი და გადაჭრილი პროტესტი უნდა განაცხადოს. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ ყველამ გაიგოს, რომ „ბურჟუაზიული დემოკრატიის საითკენმე მუჯლუგუნებით წაყვანას სოციალდემოკრატია ვერ მოახერხებს". „ბურჟუაზიული დემოკრატია" სათათბიროში **„საკანონადებლოდ"** მიდის... „ბურჟუაზიული დემოკრატია" სოციალდემოკრატიის ლიზუნგს არ გაჰყვება, და არავის ხელის წაკვრის ნებას არ მისცემს".

ვისაც „ტრფობის ჟინით" გონება არა ჰქონდა დაბნეული, ის მალე მიხვდებოდა, რომ კადეტების ამ გულქვა სიტყვებში „ცივი ატკაზია" გამოთქმული: თქვენ არამც თუ კიდევ რევოლიუციონერობთ, ჩვენს გარევოლიუციონერებას კი აპირებთ; ჩვენ კი **პირიქით** სათათბიროში ვიკანონმდებლებთ. რა არის ჩვენ შორის საერთოო? მაგრამ კადეტების სასტუმროდან უწყალოთ დათხოვნილი მენშევიკები არ გავიდნენ ამ სამოთხიდან. მათ იწყინეს... დათხოვნა კი არა, სულ სხვა რაღაც: აი რასა სწერს მენშევიკების ლიდერი დანი: „საქმე, რა თქმა უნდა, იმაში არ არის—სათათბირომ იკანონმდებლოს თუ არა? კითხვა სრულებით ბნელდება, როცა კადეტებს მუსაიფი ამ ნიადაგზე გადააქვთ. იკანონმდებლეთ!" (Отклики № 1) ესე იგი: გულის სწორო, მომკალი და გვერდიდან ნუ მომიშორებო. მხოლოთ „ცხარე სიყვარული" გააბედვინებს ადამიანს ასეთ მსხვერპლს.

და რა დიდი მსხვერპლია მენშევიკების მხრიდან კანონმდებლობითი მუშაობის მიღება, ამის წარმოსადგენაჲ მცირე რამეს მოგაგონებთ წარსულიდან: პირველ სათათბიროს დროს, მენშევიკებს, გარდა ბალშევიკების ბლანკისტობისა, ისე არა გაუკიცხავთ რა, როგორც საკანონმდებლო ორგანიული მუშაობა; როდესაც 25 მაისს დეპუტატები ანიკინი და ალადინი უარყოფით შეეხნენ სათათბიროს მიერ წამოყენებულ ორგანიულ მუშაობას, მენშევიკურმა გაზეთმა „კურიერმა" მათ ენერგიულათ მხარი დაუჭირა, და ცხარე და მახვილ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა საკანონმდებლო ორგანიული მუშაობის იდეა და ყოველთვის, როცა კი კითხვა ამ მუშაობას შეეხებოდა, მენშევიკები ისევე სასტიკათ ამხილებდნენ მის არა-რევოლიუციონერობას, როგორც ეხლა კადეტები ამხილებენ გულმოკლულ მენშევიკებს მათი „რევოლიუციონერობისათვის". ეხლა მენშევიკები არამც თუ კადეტებს არ უწუნებენ ორგანიულ მუშაობას; პირიქით, ამ მუშაობას ქვაკუთხედათ უდებენ თავის საპარლამენტო ტაქტიკას ... რისთვის? რა თქმა უნდა იმისთვის, რომ ზედ კადეტების საკადრისი „კონსტიტუციონური" სალონიააშენონ; ისინი ეხლა ბალშევიკებს კიცხავენ, იმ ანარხისტებს, იმ ბლანკისტებს, იმ „ჭეშმარიტ სოციალისტებს", რომლებიც ვერ მისწვდომიან მთელ კადეტურ სიღრმეს ორგანიულ მუშაობისას, რომლებიც, გაიგონეთ, ხალხო,—სათათბიროს დანგრევას უპირობენ!

განვიხილოთ მოკლეთ, რა არის კადეტების ორგანიული მუშაობა? რას მოასწავებს მენშევიკებისაგანაც მისი წამოყენება? კადეტები ორგანიულ მუშაობაში გამოხატავენ მთელ თვის პოლიტიკურ „ფილოსოფიას." ის საჭიროა იმისთვის, რომ სათათბიროს არსებობა გაგრძელდეს და კამარილას საბაბი არ მიეცეს სათათბიროს დათხოვნისა. საჭიროა არა ის, რომ სათათბირომ გააკეთოს რამე, არამედ ის, რომ სათათბირომ რაც შეიძლება ხანგრძლივათ იარსებოს. მარტო ხანგრძლივი არსებობა სასწაულს მოახდენს პოლიტიკაში: მთავრობა ერთის მხრივ, ხალხი მეორე მხრივ შეეჩვევიან, შეეთვისებიან სათათბიროს, ის განუშორებელი ნაწილი შეიქნება სახელმწიფო წყობილებისა, და კონსტიტუცია რეალურ ფაქტად გადაიქცევა. კანონ-პროექტებიც—ყველა საჭირბოროტო კითხვების შესახებ—სწორეთ ამ მიზნით იქნება შეტანილი სათათბიროში: არც ერთი მათგანი კანონად არ იქცევა; მაგრამ ის ფაქტი, რომ სათათბირო მათ განიხილავს და სახელმწიფო საბჭოს და მონარქს წარუდგენს, ფაქტად დარჩება; მონარქი და სახელმწიფო საჭო კანონპროექტებს უკან დააბრუნებენ. და სათათბირო ხელახლა განიხილავს, ხელახლა გადასცემს; ხელახლა უკან მიიღებს, მაგრამ განა თვით ეს განხილვა, გადაცემა, უკან დაბრუნება—იმის დამამოწმებელი არ იქნება, რომ სახელმწიფო საბჭოც და მონარქიც, რაც უნდა იყოს, კონსტიტუციას სცნობენ და კონსტიტუციის საზღვრებს ვერა სცდებიან? და როდესაც ასეთ ბრძნულ და გონიერ „შეუდრეკელი" „მუშაობით" კონსტიტუცია მტკიცე საფუძველზე დამყარდება. მაშინ სათათბირო **არსებითაც** იკანონმდებლებს: გაიყვანს აგრარულ რეფორმებს, მუშათა კანონმდებლობას და, ვინ იცის, იქნება საარჩევნო სისტემაც გააუმჯობესოს! აი, როგორ „უსისხლო რევოლიუციას" ამზადებენ კადეტები. და ვისაც აზროვნების ნიჭი მცირედათ მაინც მოეპოვება, იმას არ გაუჭირდება იმის გაგება, რომ ეს „ოპოზიციონური" ტაქტიკა იქითკენ მიდის, საითაც მთავრობა მიისწრაფის თავის პოგრომებით, სამხედრო-საველე სასამართლოებით, დამსჯელ ექსპედიციებით—ხალხის თვითმოქმედების ჩაკვლისაკენ, რევოლიუციის ჩანელებისაკენ! მიაღწევს ის მიზანს? მიაღწევდა თუ პროლეტარიატი და გლეხკაცობა მხარს დაუჭერდა კადეტების ოპოზიციას, მის ორგანიულ მუშაობას, როგორც ამას თავგამოდებულათ სცდილობენ მენშევიკები, თუ რევოლიუციონური ხალხი შედგებოდა კონსტიტუციონურ ნიადაგზე. საბედნიეროთ რევოლიუციონურ ხალხს ჯერ ზიზღის მეტი არა გამოუთქვამს რა კადეტების და ყველა მათ უფასო დამატებების მიმართ.

### სახელმწიფო სათათბირო

ახალ სატელეგრაფო ცნობებიდან მთავრობისა და კადეტების საქციელს იგივე ნიშნები აჩნევია, რომლებიც ჩვენმა გაზეთმა გუშინ აღნიშნა. კადეტები თითონაც და სათათბიროს თავმჯდომარის გოლოვინის პირითაც სცდილობენ კამარილას თვისი უქვეშევრდომესი გრძნობები დაუმტკიცონ. მთავრობაც ხედავს ამას და აფასებს. გოლოვინი გაბედნიერდა სასახლეში შესვლით. მისი ბედნიერება გაორკეცებულ იქმნა იმპერატრიცის წინაშე წარდგომით. ბედნიერია კადეტების პარტია: დასაწყისი მიეცა მის სასახლეში გაშინაურებას. ვაჭრობის საქმე მთავრობასა და კადეტებს შორის ჯერჯერობით, ღვთის მადლით, კარგათ მიდის. უხარიან ლიბერალურ გაზეთებს, ქებას ასხამენ კიდეც გოლოვინს: მის ნათქვამში არც მეტია რამე, არც არაფერი აკლია. „გაუფრთხილდით, ხალხის წარმომადგენელნო, ხალხისაგან მობარებულ საუნჯეს, სახელმწიფო სათათბიროს"—არიგებს არხიბურჟუაზიული „ტოვარიში" მემარცხნეებს; ის და სხვა ლიბერალური გაზეთები კმაყოფილნი არიან მემარცხნეებით, რომლებს გუშინდელი მდუმარებაც მათ ოპოზიციის მხრის დაჭერად მოსჩვენებიათ; დარბაისელი და დინჯი „რეჩი" კი—კადეტების ცენტრალური ორგანო—მემარჯვენეებს აქებს მათის თავდაჭერილობისათვის. „გაუფთხილდით სახელმწიფო სათათბიროს", ე. ი. მწვავეთ ნუ შეეხებით რუსეთის ცხოვრების მწვავე კითხვებს, ნუ მიუთითებთ რეაქციის ავაზაკობაზე, ნუ მოსთხოვთ მას პასუხს, ნუ მიჰმართავთ ხალხს, ზურგი შეაქციეთ ხალხს, რათა საბაბი არ მისცეთ მთავრობას სათათბიროს დასათხოვნად. „გაუფრთხილდით სათათბიროს," აი, დროშა, რომლის ქვეშაც მემარჯვენენი და ცენტრი, „სათათბირო მთლათ" ერთის მხრივ და მთავრობა მეორეს მხრივ ერთმანეთს სამშვიდობოთ ხელს უწოდებენ.

მხიარულებაა მემარჯვენეთა და ცენტრის ბანაკში. პროლეტარიატი და მისი პარტია გამჭრიახის თვალით უყურებს მტრების თვითეულ მიხვრა-მოხვრას. ის იმავე სიტყვით მიჰმართავს კადეტებს, როგორითაც ქრისტემ იუდას მიმართა: რასაც აპირებ, ქმენი ჩქარა!

### პრესა

**„ისარი" განაგრძობს.** სამი დღის წინეთ „ისარმა" მოკლეთ გამოსთქვა თავისი მრწამსი: მეტი „სულგძელობა" კლასთა შორის და „მშვიდობიანი მორიგება" რეაქციასთანო. ახლა იმავე „პლანს" უფრო კონკრეტულათ განაგრძობს. ის ერთგვარ დიპლომატიურ რჩევას აძლევს ეგრეთ წოდებულ ოპოზიციას, ე. ი. კადეტებს, ტრუდოვიკებს და სოც.-დემოკრატებს: **ჯერ** შეერთდით, **ჯერ** ერთათ იყავით, ეცადეთ აგრეთვე, რომ რეაქცია არ გაალიზიანოთ,—და **შემდეგ**, როცა ხალხს შემოიკრებთ, მაშინ ბრძოლაც შეიძლებაო. ყური დაუგდეთ:

„სათათბიროს ახლო მომავალი სავსებით იმ ტაქტიკაზეა დამოკიდებული, რომელსაც მემარცხენენი დაადგებიან (ე. ი. კადეტები, ტრუდოვიკები და სოც.-დემოკრატები); თუ... ერთმანეთს დაუწყეს ბრძოლა, მესამე გაიხარებს და თამამათ დაითხოვს ისეთ სათათბიროს, რომელსაც... ერთათ მუშაობა აღარ შეუძლიან... დღევანდელ პირობებში სულ სხვაა საჭირო: დღეს უფრო ხელსაყრე-

ლია სათათბირო გამაგრდეს, ქვეყანას დაანახოს, რომ მუშაობაც შეუძლიან, ფესვები გაიმაგროს ნაკლებათ შეგნებულ მასაში, და **როცა** ამგვარათ ხელს შეუწყობს ხალხის დარაზმვას... კონფლიქტის გამომწვევი იერიშიც **მაშინ** მიიტანოს"... ჯერჯერობით კი „აუცილებლათ საჭიროა შეთანხმებული მოქმედება მთელი ოპოზიციისა" (იხ. „ისარი" № 40).

მაშ ასე, ჩვენი სოც.-ფედერალისტების აზრით (კინაღამ მენშევიკები წამომცდა!) ხალხის დასარაზმავად კადეტებთან „შეთანხმებული მოქმედება" ყოფილა საჭირო.

სამი დღის წინეთ ხალხის დასარაზმავად „მართებლობასთან" „მორიგებას" გვიქადაგებდნენ ჩვენი ფედერალისტები (იხ „ისარი" №38), მაგრამ, როგორცა ჩანს, ეს საკმარისი არა ყოფილა. ამიტომ „ისარი" განაგრძნობს თავის „პლანს" და გვასწავლის: ხალხის დასარაზმავად რეაქციასთან „მორიგების" გარდა საჭიროა კიდევ კადეტებთან „შეთანხმებული მოქმედებაო," **მორიგება** რეაქციასთან, **შეთანხმება** კადეტებთან და... **შეურიგებელი ბრძოლა** სოციალდემოკრატიასთან,—აი, თურმე რა დაჰრაზმავს რევოლიუციონურ ხალხს!

საბრალო დალალები! ვერ გაუგიათ, რომ მოქალაქეთა დარაზმვა—ეს რეაქციასთან მებრძოლთა დარაზმვაა, და ასეთ მებრძოლთა დარაზმვა კი შეუძლებელია რეაქციასთან „მშვიდობიან მორიგებით", ვერ გაუგიათ, რომ მოქალაქენი რეაქციასთან **ბრძოლის დროს** ირაზმებიან, და არა **მორიგების დროს!..**

რევოლიუციონრი ბალღები! ვერ გაუგიათ, რომ მუშებისა და გლეხების დარაზმვა—ეს რევოლიუციის დარაზმვაა სახალხო დამფუძნებელი კრების მოსაპოებლად, და ასეთი რევოლიუციის დარაზმვა კი შეუძლებელია „შეთანხმებულ მოქმედებით" კადეტებთან, რომლებიც პირდაპირ უარყოფენ რევოლიუციასაც, დამფუძნებელ კრებასაც! ვერ მიმხვდარან, რომ მუშები და გლეხები ანტირევოლიუციონერებთან **ბრძოლის დროს** ირაზმებიან, და არა მათთან **შეთანხმების დროს!..**

დიახ, დიახ! თამამათ შეგვიძლიან მიულოცოთ ქართველობას, რომ „ჩვენცა" გვყავს ლიბერალები, კლასთა მომრიგებელნი და სხვა ამისთანა გვამები. სახელი მათი: სოციალ-ფედერალისტები. მართალია, ამას წინეთ თავიანთ პროგრამის „პირველ პროექტში" რაღაებსაც ჩმახავდნენ კლასთა ბრძოლაზე, მაგრამ, როგორც ირკვევა, სოციალ-დემოკრატებთან ბრძოლა ჰქონიათ სახეში, და არა ბურჟუაზიასთან. ასე განაგრძობს „ისარი" თავის პოზიციის განვითარებას.

—

**პასუხი „წინ"-ს.** გუშინდელი „წინ" უფრო გაჯავრებით ლაპარაკობს, ვიდრე გუშინწინდელი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ნათქვამი გულში მოხვედრია. სამაგიეროდ არაფერ ახალ ფაქტებს არ იძლევა. ძველებზე ლაპარაკი კი მეტია: მკითხველს ხელში აქვს მასალა და დეე, მან გასაჯოს. პლატფორმებით არჩევა რომ უდისკუსიოთ არ შეიძლება; კადეტებთან საარჩევნო შეთანხმება რომ ამცირებს პროლეტარიატს,—ამას ყველა მიხვდება. ამიტომ ჯერ-ჯერობით ნახვამდის!

—

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ „პრესაში" გაზეთის მეორე გვერდის პირველ სვეტში შეცდომით დაბეჭდილია: **„სოციალდემოკრატები,"** რომლებიც „სოციალიზმთან ერთად საერთო მოქმედების ნიადაგს გვიქადაგებდნენ." უნდა იყოს: **„სოციალფედერალისტები,** რომლებიც" და სხვა.

## ახალი ამბავი

✦ ოთხშაბათს, 22 თებერვალს საღამოს 7 საათზე, ერევნის მოედანზე, საკანდიტეროს პატრონ იუზბაშევს ვიღაც უცნობმა რევოლვერი ესროლა და მძიმეთ დასჭრა. დაჭრილი იუზბაშევი თავის სახლში წაიყვანეს. მსროლელი მიიმალა.

✦ 21 თებერვალს, საღამოს 10 საათზე ელიზავეტის ქუჩაზე, სანდო თურქესტანოვის საწვრილმანო მაღაზიაში შევიდა სამი შეიარაღებული ლეკი, ამოიღეს რევოლვერები, მოიტაცეს პაპიროზები და სხვა ნივთები და მიიმალნენ.

✦ 22 თებერვალს, დილის 9 საათზე, ამაღლების ქუჩაზე ვიღაც უცნობმა რევოლვერი ესროლა ამას წინათ მოკლულ თულაევის მცველს და მოკლა. მოკლულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს.

✦ 21 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, ნ-თე საპოლიციო ნაწილში, აკიმოვის ქუჩაზე თბილისის მცხოვრებმა ივანე დობრუაშვილმა ბებუთით ყელი გამოსჭრა თავის ცოლს თინათინს, რომელთანაც 15 წელიწადია განქორწინებული ყოფილა. მკვლელი დააპატიმრეს.

✦ თბილისში ამას წინათ დაარსდა „ევროპიულ ფეხსაცმელების მკერვალთა პროფესიონალური კავშირი". ამ კავშირმა ამ დღეებში თავიანთ გაკეთებულ საქონელზე გადაჭრილი ფასი დააწესა და წინადადება მისცა ყველა პატრონებს და მოვაჭრეებს, რომ მით იხელმძღვანელონ. ყველა მოვაჭრეებმა ეს ფასები ზომიერათ და სინიდისიერათა სცნეს, გარდა ერთი **ვაგან გავრიელოვისა**, რომელმაც კატეგორიულათ უარი განაცხადა. ამის გამო კავშირი მას და მის სავაჭროს ბოიკოტს უცხადებს.

✦ დღეს, 23 თებერვალს, თბილისის ქალაქის თვითმართველობის შენობაში დანიშნულია კრება საბჭოს იმ კომისიისა, რომელმაც ქალაქის ახალ ხმოსნების ამრჩეველთა სია უნდა შეამოწმოს.

✦ თბილისის და ქუთაისის გუბერნიების სახელმწიფო სათათბიროს წევრების ინიციატორობით შემდგარი აგრარული კომისია უკვე შეუდგა მასალის შეგროვებას. ამ კომისიას ახლო მომავალში კრება ექნება მოხსენების შესადგენათ, რომელსაც დეპუტატებს გაუგზავნის სახელმძღვანელოთ.

✦ ნამესტნიკმა ნება დართო თბილისის 2 გიმნაზიის 8-ვე კლასის მოწაფეთ გასათავებელი ეგზამენი ჩააბარონ მოწმობების მისაღებათ.

✦ თბილისის რეალურ სასწავლებლის დახურულ კლასების მშობელთა წრე შუამდგომლობს, სადაც ჯერ არს, დახურულ კლასების გახსნას.

✦ 22 თებერვალს, გათენებისას, მეექვსე საპოლიციო ნაწილში (ხარფუხში) სეიდაბადის ქუჩაზე, არუთინას სამიკიტნოში ნესო შერმაზანოვმა ბებუთით მოჰკლა, ლოგინში მწოლიარე ავადმყოფი, გიგო მაიდოვი. მიზეზი არ იციან. მკვლელი მიიმალა.

✦ 21 თებერვალს, საღამოს 9 საათზე, სირაჩხანის ასავალთან ვიღაც უცნობმა ბებუთითა და რევოლვერით მოჰკლა სოფლიდან მოსული გლეხი. მკვლელი მიიმალა. მოკლულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს. მისი ვინაობა ჯერ არ იციან.

✦ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: 1905 წლის, ოქტომბრის დიდ გაფიცვების დროს, დაიკარგა ტრიფონ იოსების ძე მგალობლიშვილი. ვთხოვთ ყველას, ვინც შეხვდეს, ან იცოდეს მისი ადგილი.

# ფელეტონი

* * *

ძმური სალამი მაშვრალთა შვილებს,
ბრძოლისა ველზე სისხლ დანთხეულებს,
ციხე-საკანში კარ ჩაკეტილებს,
შორს, ცივ ქვეყნებში გარდახვეწილებს!

—

მტარვალის ხელით გულგანგმირულებს,
უებარ მებრძოლთ, თავ განწირულებს,
სალამი! მაშვრალთ მოკეთე-ქომაგთ,
შავ სამარეში სულ განაბულებს!..

—

. . . . . . . . . . . .

ზღვა ხალხის ტალღა, შავი ზვირთები
ნელ-ნელ ანგრევენ მიუვალ კლდეებს...
დაჰკრავს საათი,—შავ კოშკს დაანგრევს,
ბოლოს მოუღებს ჯალათ-მტარვალებს!

—

სალამი! შვილნო მაშვრალი ხალხის,
ზვარაკნო ხალხის ჯალათებისა,
ჰა, მხსნელი სხივი შორით ციმციმებს—
მახარობელი გამარჯვებისა!

**დ. მეჩონგურე**

მეტეხის ციხე, იანვარი 1907 წ.

## ანარხიზმი თუ სოციალიზმი?

### III

### პროლეტარული სოციალიზმი.

(შემდეგი *)

თქმა არ უნდა, რომ მომავალი ცხოვრება სრულიათ სხვა ნიადაგზე იქნება აშენებული.

მომავალი ცხოვრება სოციალისტურია. ეს, ყველაზე პირველათ, იმასა ნიშნავს, რომ იქ არ იქნება არავითარი კლასები, იქ არ იქნება არც კაპიტალისტები, არც პროლეტარები. არ იქნება, მაშასადამე, არც ექსპლუატაცია,—იქ მხოლოთ ამხანაგურათ მშრომლები იქნებიან.

მომავალი ცხოვრება, სოციალისტურია. ეს კიდევ იმასა ნიშნავს, რომ იქ, ექსპლუატაციასთან ერთათ, მოსპობილი იქნება საქონლის წარმოება და ყიდვა-გაყიდვა, იქ ადგილი აღარ ექნება მუშა-ძალის მყიდველებს და მის გამყიდველებს, დამქირავებლებს და დაქირავებულებს,—იქ მხოლოთ თავისუფალი მშრომელები იქნებიან.

მომავალი ცხოვრება **სოციალისტურია**. დაბოლოს, ეს იმასა ნიშნავს, რომ იქ, შრომის დაქირავებასთან ერთათ, მოსპობილი იქნება ყოველგვარი კერძო საკუთრება საწარმოვო იარაღებზე და საშუალებებზე, იქ აღარ იქნება არც უმიწაწყლო პროლეტარები, არც შეძლებული კაპიტალისტები—იქ მხოლოთ ისეთ მშრომელებს ექნება ადგილი, რომლებიც საერთო მესაკუთრენი იქნებიან მთელი ადგილ-მამულისა, მთელი ხე-ტყის, მთელი მთა-მადნების, ყველა ფაბრიკა-ზავოდების, ყველა რკინის გზებისა და სხვა.

როგორცა ხედავთ, მომავალი წარმოების მთავარი მიზანი საზოგადოების მოთხოვნილებათა პირდაპირი დაკმაყოფილება იქნება და არა გასაყიდ საქონლის დამუშავება კაპიტალისტურ მოგების გასაძლიერებლად. აქ ადგილი არ ექნება საქონლის წარმოებას, მოგებისთვის ბრძოლას და სხვა. ცხადია აგრეთვე ის, რომ მომავალი წარმოება—ეს სოციალისტურათ მოწყობილი ფართე წარმოება იქნება, რომელიც ანგარიშს გაუწევს საზოგადოების მოთხოვნილებას და სწორეთ იმდენს დაამზადებს, რამდენიც საზოგადოებას სჭირდება. აქ ადგილი არ ექნება არც წარმოების დაქუცმაცებას, არც კონკურენციას, არც კრიზისებს, არც უმუშევრობას.

იქ, სადაც კლასები არ არსებობს, იქ, სადაც მდიდარი და ღარიბი აღარ არის, —იქ აღარც სახელმწიფოა საჭირო, იქ აღარც პოლიტიკური ძალაა საჭირო, რომელიც ღარიბს ერჩის და მდიდარს იცავს. ცხადია, აღარც სოციალისტურ ცხოვრებაში იქნება საჭირო პოლიტიკურ ძალის არსებობა.

ამიტომ ამბობდა კ. მარქსი ჯერ კიდევ 1846 წელს:

„მუშათა კლასი თავის წინსვლაში ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების მაგიერ ამხანაგურ საზოგადოებას, **ასოციაციას**, ააშენებს, სადაც ადგილი აღარ ექნება არც კლასებს, არც მათს შეჯახებას, **არც პოლიტიკურ ძალას**"... (იხ. „ფილოსოფიის სიღატაკე"),

ამიტომ ამბობდა ენგელსი 1884 წ.

„სახელმწიფო მუდმივათ არ არსებობდა. იყვნენ ისეთი საზოგადოებანი, რომლებიც უიმისოთ სძლებდნენ და არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ სახელმწიფოზე და სახელმწიფო ძალაზე. ეკონომიურ განვითარების შემდეგ საფეხურზე, როცა საზოგადოება კლასებათ გაიყო, სახელმწიფოც... აუცილებელი დარჩა. ეხლა ჩვენ უახლოვდებით განვითარების იმ საფეხურს, როცა ამ კლასების არსებობა არამც თუ საჭირო აღარ არის, არამედ ხელფეხს უბორკავს წარმოების წინსვლას. კლასები მოისპობა ისეთივე აუცილებლობით, როგორც დაიბადა. **მათთან ერთად მოისპობა სახელმწიფოც.** ის საზოგადოება, რომელიც თავისუფალ და თანასწორ მშრომელთა ამხანაგობის ნიადაგზე მოაწყობს მომავალ წარმოებას,—შესაფერ ადგილს მოუნახავს სახელმწიფო მეხანიზმს,—ეს ადგილი იქნება დაძველებული და გამოუსადეგარი ნივთების მუზეუმი ძველ დანჯღრეულ ჯარასთან ერთათ" (იხ. „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმომავლობა").

ამავე დროს, თავისთავათ ცხადია, რომ საერთო საქმეების გასაძღოლად, ადგილობრივ ბიუროებთან ერთათ, სადაც სხვადასხვა ცნობები მოიყრის თავს, საჭირო იქნება სოციალისტურ საზოგადოებისთვის ცენტრალური სტატისტიკური ბიურო, რომელიც ცნობებს შეკრეფავს მთელ საზოგადოების მოთხოვნილებებზე და შემდეგ შესაფერისათ გაანაწილებს ამხანაგებს შორის სხვადასხვა სამუშაოს; საჭირო იქნება აგრეთვე კონფერენციები და, ნამეტურ, სიეზდები, რომელთა გადაწყვეტილება უეჭველათ სავალდებულო იქნება შემდეგ სიეზდამდე უმცირესობაში დარჩენილ ამხანაგებისათვის.

დაბოლოს, აშკარაა, რომ თავისუფალ და ამხანაგურ შრომას კმაყოფილებაც ამხანაგური და სრული უნდა მოჰყვეს მომავალ სოციალისტურ ცხოვრებაში. ეს კი იმასა ნიშნავს, რომ თუ მომავალი საზოგადოება სწორეთ იმდენ შრომას მოითხოვს თვითეული წევრისაგან, რამდენიც მას შეუძლიან,—მაშინ თვითეულ მათგანს იმდენი შრომის ნაყოფი უნდა დაუბრუნოს, რამდენიც მას სჭირდება: თვითეულისაგან მის ნიჭის დაგვარათ, თვითეულს მის მოთხოვნილების დაგვარათ! აი, რა ნიადაგზე უნდა აშენდეს მომავალი ამხანაგური ცხოვრება. რა თქმა უნდა, სოციალიზმის პირველ საფეხურზე, როცა ახალ ცხოვრებას შრომას-შეუჩვეველი ელემენტები შემოეკედლება, საწარმოვო ძალებიც საკმაოთ განვითარებული არ იქნება და „შავსა"

*) იხ. „ახ. ცხ." № 3.

გვაცნობს შემდეგი ადრესით: თფილისი, ტრამვაის კანტორა, კონდუქტორ მკალობლიშვილს.

✦ ეს რამოდენიმე დღეა ტფილისში ჩამოვიდნენ და რამოდენიმეჯერ ნამესტნიკთანაც იყვნენ ლეჩხუმელმა თავადებმა ოთარ დადეშქელიანმა, იასონ გელოვანმა და ტარასი ახვლედიანმა. ამბობენ ნამესტნიკს უმადლესათ ქუთ. გუბ. თავად აზნაურობაზე ბოძებულ ფულების შესახებ მოელაპარაკნენო. მაგრამ არ ვიცით რამდენათ მართალია ეს.

—

შეცდომის გასწორება. რაჭა-ლეჩხუმიდან წერილში მესამე გვერდის მეორე სვეტზე მეოცე სტრიქონზე დაწერილია: „რა გაეწყობა რაკი „იდიოტების გამოცნობაზე მიდგა ამას მკითხველი უკეთ გამოიცნობს“ უნდა იყოს: „რა გაეწყობა! რაკი საქმე“ იდიოტების გაცნობაზე მიდგა, ამას მკითხველი უკეთ გამოიცნობს“.

ჩვ. ცხოვ. № 8.

## მუშათა მოძრაობა და პროფესიონალური კავშირები

—

კვირას, 18 თებერვალს მოხდა არა-ჩვეულებრივი კრება ელექტრო-ტეხნიკების პროფესიონალურ კავშირის დელეგატებისა. კრებას დაესწრო 14 დელეგატი და სხვა ამხანაგებიც 5—6 კაცი სარჩევი ხმით. ამ უკანასკნელთა შორის იყო მუშათა დეპუტატების ცენტრალურ საბჭოს პროფესიონალურ-კომისიის წარმომადგენელი. კრების მთავარი საგანი იყო,—გამოერკვია მიზეზები კავშირის უნაყოფო მოქმედებისა.

როგორც გამოირკვა, კავშირი არსებობს აგერ 7—8 თვეა ამ დროს განმავლობაში კი არ გაზრდილა წევრთა რიცხვით, არამედ კიდევაც შემცირებულა. მიზეზი ამისა ის არის, რომ ელექტრო-ტეხნიკები მთელ ქალაქში დაფანტულია თითო-ოროლა და ხუთ-ხუთი ან ცოტა-მეტი კაცი სხვა-და-სხვა წარმოებაში და იმათს შესაკრებათ და ორგანიზაციულათ შესაკავშირებლათ საჭიროა მაგარი ორგანო და ენერგიული კაცები, რაც გვარებიც კავშირს დღემდე ზოგიერთი გამოკლებით არ ჰყოლია. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ დღემდე კავშირს გარდა დამფუძნებელ კრებისა, დელეგატების ჩვეულებრივი კრებებისა და აღმასრულებელ ორგანოს (ბიუროს) ასე თუ ისე მოქმედებისა ფულის შეკრების მხრივ (სულ 70-მანეთია ახლა კასსაში), არავითარი ორგანიზაცია არ მოუწყვია, არც იაჩეიკების და არც რაიონების, არავითარი კრებები და ლექცია—რეფერატები ან პრაპაგანდა—აგიტაცია არ გაუმართავს.

ამიტომ კრებამ გადასწყვიტა ამას შემდეგ ასე მოაწყოს ორგანიზაცია: გაჰყოს ქალაქი ხუთ რაიონად, შეადგინოს თითოეულ რაიონში კავშირის ძველ და ახალ წევრთა სია, გაჰყოს ისინი იაჩეიკებად (ათ-ათი), რომელნიც ამოირჩევენ ერთ წარმომადგენელს თითო-ათეული რაიონულ ორგანოში და ეყოლებათ თვისი ორგანიზატორი, ტრანსპარტიორი და ფულის შემკრები; რაიონები, სანამ ძველი დელეგატები გამოიცვლებოდნენ, გზავნიან თითო წარმომადგენელს დელეგატთა საბჭოში... ყოველივე ამის მოწყობა და სისრულეში მოყვანა ამ მოკლე დროში მიენდო ორგანიზაციულ კომისიას ხუთი კაცისაგან შემდგარს, რომელიც იქვე აირჩია თავიანთი შორის კრებამ. ამავე კრებაზე ძველი ბიუროს მაგიერ არჩეულ იქმნა ახალი ბიურო ხუთის კაცისაგან და აგრეთვე აირჩიეს მუშათა დეპუტატების ცენტრალურ საბჭოში ერთი წარმომადგენელი.

კრებამ აგრეთვე გადასწყვიტა იყოლიოს ორი პრაპაგანდისტი კავშირში, მხოლოდ დღეს-დღეობით—კი აიყვანოს ერთი და აძლიოს ყოველ თვიურათ ჯერ-ჯერობით 20—25 მანეთი: საზოგადოთ კავშირი ისევ გამოცოცხლდა და იმედია ახლად ამორჩეულნი ენერგიულათ შეუდგებიან მოქმედებას და მით დაამტკიცებენ, რომ ისინი მართლაც პროლეტარები არიან და ცხოვრებას უკან არ რჩებიან.

## პატარა ფელეტონი

(დღიური)

20 თებერვალს შუადღისას გაიხსნა სახელმწიფო სათათბირო.

გახსნა დაიწყო ლოცვით.

ილოცეს მიტროპოლიტმა ანტონიმ, და მასთან ერთათ რამდენიმე ეპისკოპოსმა, არხიმანდრიტმა და უფლის მარჯვენეთა მსხდომთ. დასაწყისი ზეციურია, წარმოთქმული სიტყვები ცხონების გუნებაზე დააყენებს ყოველ ქრისტიანს.

ფრიად საგულისხმიეროა აგრეთვე მამა ანტონის სიტყვები. მასში გამოსჩანს წინასწარმეტყველი და მცოდნე ახალი აღთქმის ისტორიისა.

იესო ქრისტემაო, სთქვა მ. ანტონმა, თვით აირჩია თვისი თანამშრომელნი ათორმეტი მოციქული. მაგრამ ერთი მათგანი, სახელდობრ იუდა, არ გამოადგა უფალს და მის მაგიერ მოციქულთაგან, სხვა იქმნა მოწვეული თანამოძმეთო. სიტყვა ესე ორ გვარათ სასარგებლოა. იგი სასარგებლოა, როგორც მოსამზადებელ კლასის შეგირდთათვის, ისე სრულწლოვან დეპუტატთათვის.

პირველთ ასწავლით ახალ აღთქმას, სასულიერო ისტორიას, ხოლო მეორეთ— სიფრთხილეს, რათა მეორე სათათბიროშიაც არ აღმოჩნდეს იუდა, ვითარცა იყო პირველშიო.

მაგრამ იუდამ უკვე ამოყო მეორე სათათბიროშიაც თავი.

იგი სდუმდა, როდესაც უფლისა მარჯვენით მჯდომნი აღავლენდნენ ლოცვასა და ხოტბას, „ურასა და ვაშას“.

როგორც სჩანს ის ცხონების გუნებაზე ვერ მოიყვანა, ვერც შარშანდელმა ექსორიამ, ვერც აწინდელმა მუქარამ!

მაინც და მაინც საქმე დაიწყ ლოცვით, თუ... თუ... წყევლით არ გათავდა.

* *
*

როგორც წყევლით თავდება ხოლმე ახალი ტელეგრამების წაკითხვა. გულმოსული მკითხველი სწყევლის ტელეგრამის გამყიდველს, მის დამბეჭდავს, მის დამწერავს, მის „აქეთ გამომგზავნელს.“

დაკარგა შაური და შიგ კი არ არის ის, რასაც ასე ელოდნენ ოცში. და ელოდნენ კი დიდ რამეს:

**ამნისტიას!**

ქუჩაზე სიარულის ნებას, სახლში ორივე კარების გახსნას, ლოგინში ჯოჯოხეთის მაგიერ, საამურ სიზმრებს!

ავიწყდებათ საწყლებს, რო ოცის შემდეგ მართლაც შეიცვალა გარემოება საქმისა! რომ ოცში დუმის გახსნამ დაბადა ისტორიაში დიადი წუთი! რომ მათ ერთი რამ მოიგეს, რომ მათ ერთი რამ იშოვეს! ეს არის ოცის შემდეგ ოცდა ერთი! ესეც ხომ შემატებაა?!

მაგრამ ამის შემდეგ ერთს მართლაც ნამდვილსა და უტყუარს ნიშანს ვასწავლი ტელეგრამის მკითხველებს! მას მხოლოთ ამით შეუძლიან გამოიცნოს როდის იქნება **ამნისტია**!

აი, რასა გვწერს ჩვენი კორესპონდენტი რაჭა-ლეჩხუმიდამ:

„ადამიანის მოძულე გიორგი გელოვანს მეტად ჰყვარებია ძაღლები. ჰყვიშელ გლეხებს საყანეები მთა ადგილებში აქვთ და რაკი ასეთ ადგილებს ნადირი ეტანება, ამიტომ იძულებული არიან მწყემსური ქოფაკები იყოლიონ ხშირათ განგებ ქართლიდან მოყვანილი. ალიხანოვის მიერ შემოტანილ რეაქციის დროს,

და „თეთრ“ მუშებს ჯერ კიდევ ადგილი ექნება,—ზემოთ წამოყენებულ პრიციპის განხორციელება (თვითეულს მისი მოთხოვნილების დაგვარათ) უეჭველია, მეტის-მეტათ გაძნელდება, ასე რომ საზოგადოება იძულებული დარჩება **დროებით** სხვა რამე საშუალო გზას დაადგეს. მაგრამ ცხადია აგრეთვე ის, რომ, რაკი ერთხელ თავის კალაპოტში ჩადგება მომავალი ცხოვრება, რაკი კაპიტალიზმის ნაშთები ძირიანათ გაქრება,—ერთათ ერთი პრინციპი, რომელიც სოციალისტურ ცხოვრებას შეეხამება, ზემოთწამოყენებული პრინციპი იქნება.

ამიტომ ამბობდა მარქსი 1875 წელს: „მხოლოთ კომუნისტურ (ე. ი. სოციალისტურ) საზოგადოების უმაღლეს საფეხურზე, როცა შრომის განაწილების მონური იერარხია მოისპობა და მასთან ერთათ მოისპობა წინააღმდეგობა გონებრივ და ფიზიკურ შრომის შორის; მხოლოთ მას შემდეგ, როცა თითონ შრომა ცხოვრებით მოთხოვნილებათ გახდება, და არა მარტო ცხოვრების სახსრათ; როცა პიროვნების ყოველ მხრივ განვითარებასთან ერთათ საწარმოვო ძალებიც გაიფურჩქნება...—მხოლოთ მაშინ დასტოვებენ ადამიანები ბურჟუაზიის ვიწრო უფლებრივ შეხედულებას და მხოლოთ მაშინ დააწერს საზოგადოება თავის დროშაზე: „თვითეულისაგან მისი ნიჭის დაგვარათ, თვითეულს მისი მოთხოვნილებების დაგვარათ“! (იხ. „კრიტიკა გოტის პროგრამისა“).

ასეთია საერთოდ სურათი სოციალისტურის ცხოვრებისა.

კეთილი. მაგრამ წარმოსადგენია ასეთი ცხოვრების განხორციელება? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადამიანი ამოიფხვრის გულიდან თავის „ველურ ჩვეულებებს“? ან და, თუ თვითეულს მისი მოთხოვნილების დაგვარათ მიეცა, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ სოციალისტური ცხოვრების საწარმოვო ძალები საკმარისი იქნება ამისთვის?

სოციალისტური ცხოვრება იგულისხმებს საკმაოთ გაზრდილ საწარმოვო ძალებს და ადამიანების სოციალისტურ გრძნობებს, მათს სოციალისტურ შეხედულებას. დღევანდელი საწარმოვო ძალების განვითარებას ხელს უშლის არსებული კაპიტალისტური საკუთრება, მაგრამ თუ სახეში მივიღებთ, რომ ამ საკუთრებას ადგილი აღარ ექნება მომავალ ცხოვრებაში,—თავის-თავათ ცხადია, რომ საწარმოვო ძალები ერთი ათათ გაიფურჩქნება. არ უნდა დაგვავიწყდეს აგრეთვე ის მოვლენა, რომ დღევანდელ მუქთახორათა ასიათასები და აგრეთვე უმუშევარნი მომავალ ცხოვრებაში საქმეს მოეკიდებიან და მშრომელთა რაზმებს მიემატებიან, რაც ძალიან წასწევს საწარმოვო ძალების განვითარებას. რაც შეეხება ადამიანების „ველურ“ გრძნობებს და შეხედულებას, ეს ხომ ისეთი მუდმივი არაა, როგორც ზოგიერთებს ჰგონია: იყო დრო, დრო პირველყოფილი კომუნიზმის, როცა შენ-ჩემობის არა გაეგებოდა რა ადამიანს და „სოციალისტურათ“ აზროვნებდა; დადგა დრო, დრო ინდივიდუალისტური წარმოების, როცა შენ-ჩემობამ და კერძოობამ თავით ბოლომდე მოიცვა ადამიანების გრძნობა-გონება; დგება ახალი დროება, დრო სოციალისტური წარმოების, და რაღა საკვირველია, თუ ადამიანების გრძნობა-გონებაც სოციალიზმით გაიმსჭვალება; განა მდგომარეობა არ საზღვრავს ადამიანების „გრძნობებსა„ და შეხედულებას?

დიახ, თუ საქმეს კარგა ჩაუკვირდებით, სოციალისტური ცხოვრების განხორციელება არც ისე ძნელი წარმოსადგენია,

მაგრამ რავდენათ აუცილებელია კაპიტალისტური ცხოვრების შემდეგ სოციალისტური ცხოვრების დამყარება? აუცილებლათ მოსდევს თუ არა მომავალი სოციალიზმი დღევანდელი კაპიტალიზმის განვითარებას? ან სხვანაირათ რო ვთქვათ, საიდან ვიცით, რომ მარქსის პროლეტარული სოციალიზმი ტკბილი ოცნება არაა, ყინულზე დაწერილი პლანი არაა, და მეტი არაფერი? სად არის ამის მეცნიერული საბუთები?

ისტორია გვიმტკიცებს, რომ საკუთრების ფორმა პირდაპირ დამოკიდებულია წარმოების ფორმაზე, რის გამოც წარმოების შეცვლასთან ერთათ ადრე თუ გვიან იუცილებლათ იცვლება საკუთრების ფორმაც. დრო იყო, როცა საკუთრებას კომუნისტური ხასიათი ჰქონდა, როცა ტყეები და ველები, სადაც პირველყოფილი ადამიანები დაძრწოდნენ, ყველას ეკუთნოდა და არა კერძო პირებს. რატომ არსებობდა მაშინ კომუნისტური საკუთრება? იმიტომ, რომ წარმოებაც კომუნისტური იყო, შრომაც საერთო და ამხანაგური იყო,—ყველა ერთათ შრომობდა და უერთმანეთოთ არ ვარგოდნენ. დადგა დრო, დრო წვრილ ბურჟუაზიული ცხოვრების, როცა საკუთრებამ ინდივიდუალისტური (კერძო) ხასიათი მიიღო, როცა ყოველივე ის, რაც კი ადამიანს სჭირდება (რა თქმა უნდა, ჰაერის, მზის სინათლის და სხვა ამისთანების გარდა) კერძო საკუთრებათ იქნა აღიარებული. რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ აქ წარმოებაც ინდივიდუალისტურია, აქ ყველა თავისთვის შრომობს ცალკე კუთხეში მიკუჭნული. ბოლოს, დგება დრო, დრო სხვილი კაპიტალისტური წარმოების, როცა ასობით და ათასობით მუშა ერთ ჭერ ქვეშ იყრის თავს, საერთო ფაბრიკაში, და საერთო შრომას ეწევა. აქ ვეღარ ნახავთ ძველ, კერძო, მუშაობას, როცა ყველა თავისთვის იწევდა,—აქ თვითეული მუშა და თვითეული ცეხის ყველა მუშები მჭიდრო კავშირში მუშაობენ როგორც თავისი ცეხის ამხანაგებთან, ისე დანარჩენ ცეხებთან. საკმარისია ერთი რომელიმე ცეხი შეჩერდეს, რომ ფაბრიკის მთელი მუშები უმოქმედოთ დარჩენ. როგორცა ხედავთ, წარმოების პროცესს, შრომას, უკვე ამხანაგური ხასიათი მიუღია, სოციალისტური ელფერი დასდებია. და ეს ასე ხდება არა მარტო ცალკე ფაბრიკებში, არამედ მთელს დარგებში და დარგებს შორისაც: საკმარისია რკინის გზის მუშები გაიფიცნენ, რომ წარმოება სასოწარკვეთილებაში ჩავარდეს; საკმარისია ნავთისა და ქვანახშირის წარმოება შეჩერდეს, რომ რამოდენიმე ხნის მერე მთელი ფაბრიკა-ზავოდები მიიხუროს (დღევანდელი მაშინები მეტ ნაწილათ მაზუტით და ქვანახშირით მოძრავდება). ცხადია, აქაც საზოგადო ხასიათი, ამხანაგური ხასიათი მიუღია წარმოების პროცესს. და რადგანაც წარმოების საზოგადო ხასიათს არ შეეფერება საკუთრების კერძო ხასიათი, რადგანაც დღევანდელ ამხანაგურ შრომას აუცილებლათ უნდა მოჰყვეს ამხანაგური საკუთრება,—ამიტომ თავისთავათ ცხადია, რომ სოციალისტური ცხოვრება ისევე აუცილებლათ მოჰყვება კაპიტალიზმის განვითარებას, როგორც დღიამებას გათენება.

ასე ასაბუთებს ისტორია მარქსის პროლეტარულ სოციალიზმს.

კო...

(შემდეგი იქნება)

ასეთი ქოთაკები გიორგიმ თითქმის 20-მდე წაართვა გლეხებს და წაიყვანა ზოგი თავისათვის და ზოგიც სხვებს შესთავაზა. კარგა ხნის შემდეგ ერთმა ქოფაკმა ძველი პატრონი ნესტორ სალუქაძე მოიგონა და გიორგის გამოეპარა, მაგრამ ისევ მალე მოითხოვა უკან. რაკი რეაქციის სუსხი მიმქრალი იყო, სალუქაძემ თავისი მურა აღარ დაუბრუნა, მაგრამ როცა რეაქცია ისევ მობრუნდა, გიორგიმ ისევ წაართვა ძაღლი. საწყალი მურა! ნეტავ კიდევ დიდხანს მოუხდება „ტყვეობაში ყოფნა?!“

აქ ბ-ბო, როგორც ხედავთ, იბრძვიან ერთმანეთში ორი მოპირდაპირე ძალა: გ. გელოვანი და პირუტყვი. ეის დარჩება გამარჯვება რეაქციის სასწორზეა დამოკიდებული, როდისა ნახავს საწყალი ძაღლი ისევ თავისი პატრონის საწყალს ლუკმას! როდის ეღირსება მას ამნისტია?

მაშინ და მაშინ, როდესაც იგი კვლავ გასწყვეტს გელოვანის მონობის ჯაჭვს და დაიყეფებს თვის პატრონის ეზოში!

ეს იქნება პირველი ნიშანი ამნისტიისა! მანამდე კი...

***

ტყუილია გაზ. „მიწის“ პირველ გვერდზე დიდის ასოებით აღბეჭდილი სიტყვები:

**„გლეხებო ამხანაგებო, იდღესასწაულეთ ცხრამეტი თებერვალი! ცხრამეტ თებერვალს მოისპო ბატონყმობა.“**

კაი პასუხს მისცემდა ზემოაღნიშნული ბატონყმობის უღელქვეშ წამებული პირუტყვი ამ დღესასწაულის რიხიანათ აღმნიშვნელს, რომ ისევ და ისევ გელოვანის ხლართი არ უჭერდეს კისერში, რომ იგი არ იყო გელოვანის **„მიწაზე“** მიბმული. მაინც და მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ძაან ხუმარა კალამი ჰქონია 19 თებერვლის მოტრფიალეს!

**ი. ევდოშვილი**

## რ უ ს ე თ ი

**რევიზია.** 12 თებერვალს სახელმწიფო სათათბიროს ცარიელ შენობას ეწვია „პატიოსანი კამპანია“, რომელშიაც შედიოდნენ: პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ტრუსევიჩი, ამავე დაწესებულების ვიცე-დირექტორები ზუევი და ზუბოვსკი, ჟანდარმთა კორპუსის შტაბის უფროსი სავიჩი, პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორი და ბევრი უბრალო შპიკები.

რას ეძებდენ ეს „პატიოსანი გვამები“ დუმის ცარიელ შენობაში? კრამოლას, ჯოჯოხეთის მანქანებს. მაგრამ სათათბიროს შენობა ხომ დაკეტილი იყო. ალბათ პროკურორი და მასთან მყოფნი ფიქრობდენ, რომ სათათბიროს კედლები და სკამები კადეტების „რევოლიუციონიზმით“ გაჟღენთილები დარჩა და ამიტომ მათ საჭიროდ სცნეს შენობაში დეზინფექციის მოხდენა.

**ღირსეული პასუხი.** ვიატკის გუბერნიამ გაჰგზავნა სახელმწიფო სათათბიროში თორმეტი უკიდურისი მემარცხენე. ყველაზე ზომიერი ამ თორმეტში „ნაროდნო სოციალისტების“ პარტიას ეკუთვნის. რის პასუხია ეს თუ არა ბატონ გოჩაკოვის პოლიტიკისა, რომელმაც სტოლიპინის პოლიტიკა ალმატებით ხარისხამდე აიყვანა. ამხანაგ მეუმცირესეთა საყურადღებოთ შევნიშნავთ, რომ ყველა ეს დეპუტატები კადეტეათან შეუთანხმებლათ, მათ წინააღმდეგ გავიდნენ. შავრაზმელთა საფთხე არ აღმოჩნდა.

**მუშათა კავშირის გაუქმება.** 14 თებერვალს მოსკოვში მოხდა ლითონზე მომუშავეთა კავშირის გამგეობის კრება, რომელსაც დაესწრენ აგრეთვე მოსკოვის გუბერნიის მუშათაგან ამორჩეული დუმის დეპუტატები გუბარევი და მორევი. (უკანასკნელი—კავშირის წევრათ ითვლება). მაგრამ კრებას მალე პოლიცია ეწვია, რომელმაც გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით კავშირი სრულიად გააუქმა.

**ლოკაუტი და მისი მსხვერპლნი.** ფაბრიკანტთა გადაწყვეტილებაა ლოკაუტის შემწეობით ყოველი ათი მუშიდან ერთი უნდა დაითხოვონ („ხაზეინური“ უფლებების გამოსახატავად), ამას თავისებური გავლენა ჰქონია პოლონელ ნაც. დემოკრატების გაზეთ „როზვოი“-ზე, ეს გაზეთი მომდგარა და უმტკიცებს მუშებს (დასათხოვნებს), რო მათ „მოყვასისადმი სიყვარულით“, ნებით უნდა მისცენ შიმშილს თავი და ფაბრიკანტების გადაწყვეტილებაზე დასთანხმდენ. ამ ფაქტის გამო ლოკაუტთან საბრძოლველი კომიტეტი, სოც.-დემოკრატიულ პარტიის, ბუნდის, „პ. პ.-ს“-ის, პარტიულ და უპარტიო პროფესიონალურ კავშირების პირით, მოწოდებით მიმართავს მუშებს, რომელშიაც, სხვათა შორის, ეუბნება მათ, რომ ზემოხსენებულ გაზეთის რჩევათა აღსრულება მუშებისგან, მათ მიერ „ხაზეინებთან“ ბრძოლაში მოპოებულ გაუმჯობესებათა დაკარგვის მომასწავებელი იქნება.

**მიტინგი** 14 თებერვალს „ვიბორგის მხარეზე“ მუშებმა მიტინგი გამართეს, რომლის უმთავრესს კითხვას სახელმწიფო სათათბირო შეადგენდა. მუშებმა გადასწყვიტეს—პეტიციებით მიჰმართონ ხოლმე თავიანთ წარმომადგენლებს (და არა მთელ დუმას) სხვა და სხვა საჭიროებათა გამო.

**ლოკაუტი და გაფიცვა.** ამ დღეებში გათავდა მესაათე მუშების და შაგირდების გაფიცვა პეტერბურგში. ეს გაფიცვა რამდენიმე კვირა გაგრძელდა. არც ერთ მხარეს არ უნდოდა დათმობა. მუშათა კავშირის წინააღმდეგ „ხაზეინებმა“ ლოკაუტის კავშირი წამოაყენეს. მხოლოდ სამი კვირის გაფიცვის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკება შეთანხმების შესახებ. დაკმაყოფილებული იქმნა „ხაზეინების“ მიერ შემდეგი მოთხოვნილებანი: 1) ცხრა საათის სამუშაო დღე ($10^1/_2$ მაგივრათ), 2) დღესასწაულების წინა დღეს მხოლოდ 3 საათამდის მუშაობა ზაფხულობით და 5 საათამდე ზამთრობით. 3) წელიწადს ნამსახურ შაგირდებს მანეთი თვეში ჯამაგირათ; ორ წელიწადს ნამსახურებს 2 მან. 4) სამი თვის ჯამაგირით დაჯილდოვება უმიზეზოთ დათხოვნის დროს, ან 3 თვის დათხოვნის წინ გამოცხადება. 5) „ატესტატის“ მიცემა შაგირდობა-გათავებულ მომუშავეებს. 6) ზრდილობიანი მოპყრობა. 7) გაფიცვისთვის დაუსჯელობა. 8) გაფიცულ დღეების სამუშაო დღეებად ჩათვლა.

საჭიროა დავუმატოთ, რომ აქამდე „ხაზეინები“ არა თუ არაფერს აძლევდნენ შაგირდებს, პირიქით 50—100 მანეთს ახდევინებდენ მათს მშობლებს. მხოლოდ სამი წლის სამსახურის შემდეგ დაუნიშნავდნენ ხოლმე მათ 15—20 მანეთს.

**უმუშევრობა.** ვიტებსკში კრიზისის გამო მთელი არმია შემდგარა უმუშევართაგან. განსაკუთრებით ბევრი უსაქმოთ დარჩენილია „სლესრებში და დურგლებში“. მუშათა ორგანიზაციებმა გადასწყვიტეს კოლექტიურათ მოსთხოვონ ქალაქის საბჭოს საზოგადო საქმეების მოწყობა უმუშევართათვის.

ამავე ქალაქში დახურეს ნოქრების და კანტორებში მომუშავეების კავშირი.

**კრამოლნიკების დასჯა.** 15 თებერვალს ეკატერინესლავის უმაღლეს სამხედრო სასამართლოში გაირჩა საქმე ალექსანდროვსკში მომხდარ შეიარაღებულ აჯანყებაზე. სასამართლომ დაადგინა სიკვდილით დასაჯოს რვა კაცი: მოროზოვი, ვასილიევი, შჩუკინი, მაქსიმოვიჩი, ვიკოვსკი, ბორდარევი, გუბაროვი და ნასენკო. დანარჩენ 45 კაცს 4 15 წლამდე კატორგა მიუსაჯა.

### წერილი რედაქციის მიმართ.

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი მისცეთ გა . „ჩვ. ცხ.“ ამ პატარა შენიშვნას. 21 თებერ. შემთხვევით შევიარე გაზ. „წინ“-ის რედაქციაში. ამ დროს აქ მოვიდა პეტერბურგიდან დეპუტატ ზურაბოვის დეპეშა. ამხ. პ. გადათარგმნა ეს დეპეშა: მე როგორც გაზ. „ჩვენ ცხოვრებაზე“ მომუშავემ ვსთხოვე ამხ. პ-ს ნება მიეცა, რომ გადამეწერა დეპეშა გაზ. „ჩვ. ცხოვრებაში“ მოსათავსებლათ. მანაც ნება დამრთო. გადაწერის დროს დამინახა ამხ. ზ—მ: „იწერო“? მითხრა და თავის საქმეზე წავიდა. მე წავიღე სტამბაში და იქ ააწყვეს. 22-ს დილით, ერთმა ამხანაგმა გადმომცა, რომ რედაქციაში ზ—ა გიბარებსო. მეც მივედი. საქმე რაში იყო არ ვიცოდი და ვიკითხე ზ—ა. ზ—ა გამოვიდა და მოსალმების უმალვე წყრომით შემეკითხა: გაზ. „ჩვ. ცხ.“-ში შენ წაიღე დეპეშაო? ხო-მეთქი ვუპასუხე. შემდეგ დამიწყო „ახსნა“ თუ რა მნიშვნელობა აქვს დეპეშის წაღებას, ეს დეპეშაო, მითხრა მან, ჩვენ საკუთრებას შეადგენდა და ჯერ კერძო საკუთრება არ არის მოსპობილიო. მე შევეკითხე ეს დეპეშა „ისანქში“ ხომ არის მეთქი? მან მიპასუხა: „ისანქშიც“ არის და „ტიფ. ლისტოკშიცო“.

**„ჩვენ რედაქციას, „ისანქს“ და „ტიფლისკი ლისტოკს“ ხელშეკრულება გვაქვს, რომ რაც დეპეშები და კორესპონდენციები მოვა ამ სამმა რედაქციამ უნდა გავინაწილოთ.** (ხაზს მე ვუსვამ). ამ სიტყვებს ახსნა აღარ სჭირია; მხოლოდ შევეკითხები ამხ. ზა—ს. 1) ვისი წარმომადგენელია ამხ. ზურაბოვი; თბილისის პროლეტარიატის თუ „ტიფლისკი ლისტოკის“ რედაქციის და კომპ? 2) თუ ზურაბოვი სოციალდემოკრატიული პარტიის დეპუტატია, თუ „ტიფლისკი ლისტოკს“ აწვდით მის დეპეშას, რატომ მეორე სოციალდემოკრატიულ ორგანოს არ შეუძლია მისი გადაბეჭდვა? 3) დეპუტატის მიერ გამოგზავნილ დეპეშის მისაკუთრება შესაწყნარებელია თუ არა, რომელიმე რედაქციის მიერ? 3) თუ ლიბერალურ „ტიფლისკი ლისტოკთან“ შეიძლება „შინაური“ თანხმობა, რატომ მეორე რედაქციასთან არ შეიძლება, რომელიც თქვენ კარგათ იცით ვისი ინტერესების გამომხატველია? აქ თქვენ პასუხი მზათა გაქვთ: „ეს სუფთა **კომერციული** მოსაზრებააო. მაგრამ თქვენვე ამბობდით, რომ გაზეთის გასაღებას ხელს უწყობს ასეთი ხელშეკრულობა, ე. ი. ჩვენებურათ რომ ვთქვათ, როცა თქვენს მეტს არ ექნება დეპეშა, გაზეთი მეტი გავრცელდება. გეკითხებით: „ლიბერალურ „ტიფლისკი ლისტოკის“ იდეის გავრცელება ჯობია თუ „ჩვენი ცხოვრების“, რომელიც მუშათა ინტერესებს იცავს? მაგრამ რაღა უნდა შეგეკითხოთ, როცა ისე დაბრმავებულხართ ფრაქციული განსხვავებით, რომ ლიბერალურ „ტიფლისკი ლისტოკს“ ამჯობინებთ სოციალდემოკრატიულ გაზეთს, რაც შეეხება თქვენ სიტყვებს, „საზოგადოებამ დაინახა, თითქო ჩვენ და „ჩვენ ცხოვრებას“ შორის რაიმე შინაური განწყობილება სუფევს, ნამდვილათ კი სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა არისო,—ნუ გეშინიანთ, არავინ გწამებსთ ბოლშევიკებთან სრულს ერთობას... ეხლა ნახვამდის.

**თქვენი ი. მგელაძე.**

## დ ე პ ე შ ე ბ ი

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21 თებერვალი

**პეტერბურგი.** შემდეგი სხდომა სახელმწიფო სათათბიროსი დანიშნულია 23 თებერვლისთვის.

კიევის საერობო მეურნეობის საქმეთა საგუბერნიო გამგეობის თავმჯდომარე ცერემონმეისტერი გრაფი იგნატიევი ინიშნება კიევის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად.

**ბერლინი.** „ბორზენ ცაიტუნგი“ მოწინავეში დუმის გახსნას ეხება და ამბობს: ის, რაც პირველ დუმაში ხდებოდა, ახლა აღარ გამეორდება; პირველ დუმაში მყვირალა დეპუტატებს ჭირვეული ქცევით თავისი გაჰყავდათ. ეს თვით მთავრობის ბრალიც იყო; რადგანაც მან თავის უხეირობით მოუმზადებლათ მოიწვია სათათბირო და უფრო გარეშე მაყურებლის როლს თამაშობდა. სტოლიპინის სამინისტრომ კეთილსინიდისიერათ მოუმზადა დუმას მუშაობა. სამოქმედოდ მას მდიდარი მასალა აქვს. დუმის შედგენილობა არა სასიამოვნო აზრებს იწვევს, მაგრამ გამოცდილებამ მემარცხნეებს ჭკუა ასწავლა და ისინი განუხორციელებელ მიზეზებს აღარ გამოეკიდებიან. მთავრობას შეუძლიან მემარცხენენი ნელნელა შეაჩვიოს ვიწრო კონსტიტუციონურ ჩარჩოებში მუშაობას. ეს მეტადრე კადეტებზე ითქმის, რომლებიც ადრე თუ გვიან მემარჯვენეებთან დაახლოვებას ეცდებიან.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა დაუნიშნა აუდიენცია დუმის თავმჯდომარეს 22 თებერვალს.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო დუმაში ადგილების განმანაწილებელმა კომისიამ შემდეგი რიგით მოათავსა ადგილებზე დეპუტატები: სულ მარცხნივ სოციალდემოკრატები, მერე ესერები, ტრუდოვიკები, ნაროდნი სოციალისტები, კადეტები, პოლშელი კოლე, უპარტიონი და პროგრესისტები, ოქტომბრისტები და მემარჯვენენი.

კადეტების საპარლამენტო ფრაქციამ დაადგინა ეცადოს სათათბიროს თავმჯდომარის ამხანაგად ტესლენკოს გაყვანას—თუმცა მემარცხენენი ამის წინააღმდეგნი არიან.

**ლოძი.** პოზნანსკის მანუფაქტურის მუშათა კრება, იმის შესახებ, თუ რა პოზიცია დაიჭირონ მუშებმა ფაბრიკანტების განცხადების გამო 96 მუშის გამო,—ორ ნაწილათ გაიყო მრავალრიცხოვანობის გამო: პირველ კრებაზე 3500 კაცი დაესწრო; ორატორი უჩვენებდა მუშების გაჭირვებაზე: ფაბრიკანტების კავშირს დიდი ხნით შეუძლიან ლოკაუტის ატანა, მუშები კი ფიზიკურათ და მორალურათ უძლურდებიან; მუშათა აუარებელი უმეტესობა ფაბრიკანტების მოთხოვნას დასთანხმდა და გადასჭრეს მუშაობის დაწყება. მეორე კრებამ, ასევე მრავალრიცხოვანმა, პირველი კრების გადაწყვეტილება მიიღო. საერთოთ მუშაობის დაწყებას 3682-მა მისცა ხმა წინააღმდეგ 1160-ისა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე გოლოვინი მიღებულ იქმნა ხელმწიფე იმპერატორის აუდიენციაზე. სათათბიროს შემდეგი სხდომა 25 თებერვალს გაიხსნება, შუადღისას.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა აუდიენციის დროს კეთილ ინება გამოეთქვა თავისი სურვილი, რომ სათათბირომ ნაყოფიერათ იმუშაოს, რისთვისაც უკვე ნიადაგია მომზადებული მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტებით. შემდეგ სათათბიროს თავმჯდომარეს ბედნიერება ჰქონდა დედოფალ ალექსანდრა თეოდოროვნას წარსდგომოდა.

რედაქტორ-გამომც. მ. კვაჭაძე

სტამბა „საქმე“ მიხაილოვის პრ. № 40.